

ახალი აღქმა

რუბრიკის სტუმარი

პაყვა შამყვია



რატომ გადაწყვიტა დასუფთავების სამსახურში მუშაობა სახელმწიფოს მესამე კურსის სტუდენტმა

ქრისტინა ცუფურია: „მინდა, ხაღბმა მეცად დააფასოს სხვისი შრომა და საკუთარი ქადაგი!“

რამდენიმე დღის წინ, ფოტოგრაფმა გოგა ჩანადირმა Facebook-ის საკუთარ გვერდზე დასუფთავების სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომლის ფოტო გამოაქვეყნა მოკლე ტექსტით: „გაიცანით 19 წლის ქრისტინა ცუფურია. ის, ალბათ, ყველაზე პატარა გოგოა, რომელიც თბილისის დასუფთავების სამსახურში მუშაობს. ქალაქზე 2017 წლის აპრილიდან ზრუნავს. პარალელურად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, მე-3 კურსზე, სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს. უნდა, რომ კარგი ექიმი გამოვიდეს. იქნება კიდევ, რადგან მოტივირებულია. ერთი ის არის, რომ ძალიან სურს, მივეჩვიოთ ნარჩენების ნაგვის ყუთში ჩაყრას და მეტად მოუფრთხილდეთ ჩვენს ქვეყანას. მე სიამოვნებით გავითვალისწინებ ქრისტინას სურვილს“.

ამ ფოტომ საკმაოდ დიდი გამოხმაურება გამოიწვია, რადგან არცთუ ხშირად გვხვდება სტუდენტი, რომელსაც დასუფთავების სამსახურში მუშაობის სურვილი აქვს. გთავაზობთ ინტერვიუს ქრისტინა ცუფურიასთან.

— სამედიცინო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ხარ. სწავლის პარალელურად, მუშაობა, ალბათ, ფინანსური მიზეზების გამო დაიწყე, თუმცა მაინტერესებს, რატომ აირჩიე მანქანადამინც ეს სფერო?

— დასუფთავების სამსახური იმიტომ ავირჩიე, რომ მუშაობა მხოლოდ ოთხი საათის განმავლობაში მინევს და ხელფასიც შედარებით ნორმალური მაქვს. მიზეზი, რა თქმა უნდა, ფინანსებთან იყო დაკავშირებული — ბინის ქირა მქონდა გადასახდელი. გრაფიკიც სწავლასთან მეტ-ნაკლებად შევართავს: დილით ვმუშაობ, შუადღისკენ კი უნივერსიტეტში მივდივარ.

— დასუფთავების სამსახურის სამუშაო საკმაოდ რთულია — მუშაობას უთენია იწყებთ. რა დადებითი მხარე აქვს საქმიანობას, რომელიც შეიძლება, სიამოვნებას განიჭებდეს?

— სიამოვნებას მაშინ ვიღებ, როცა ზოგჯერ ძალიან პოზიტიური ადამიანები მხვდებიან და თბილად მიღიმიან. ხშირად ხდება, რომ თუ ვინმე თბილად მომეცემა ან თუნდაც გამიღიმებს, ეს ემოცია მთელი დღის განმავლობაში მიმყვება. დასუფთავების სამსახურიც ძალიან კარგი ადამიანებითაა დაკომპლექტებული და მათთან ურთიერთობაც მსიამოვნებს.

ეს არის ერთადერთი სასიამოვნო, რაც მახსენდება. რაც შეეხება სირთულეს, ძალიან ბევრია: მინევს მძიმეების ანევა, სიცხვესა თუ სიცხეში მუშაობა. თავიდან ყველაფერი ეს იმდენად გამიჭირდა, რომ მეგონა, ვეღარ გავეუძლებდი. სექტემბერში სამსახურის დატოვებასაც კი ვაპირებდი, რადგან ძალიან ვიღვლებოდი და სწავლისთვის ენერჯია აღარ მრჩებოდა, თუმცა ეკონომიკური პრობლემების გამო იძულებული გავეხდი, დავრჩენილიყავი.

— თბილისის ქუჩებს სუფთა ძნელად თუ ეთქმის. ალბათ პირადადაც ხშირად შესწრებინარ, როგორ აბინძურებენ ქუჩებს სხვადასხვა ასაკის ადამიანები. როგორ ფიქრობ, რითაა გამოწვეული ურნების „დაბალი პოპულარობა“ თბილისსა და ზოგადად, საქართველოში?

— ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა დამისუფთავებია ერთი ადგილი, გავსულვარ რამდენიმე წუთით და მობრუნებულზე ვილატას ისევ ნაგავი დაუყრია. ჩემი აზრით, ყველაფერი ეს სხვისი შრომის, საკუთარი ქალაქის, ქვეყნის არდაფასებასა და სამოქალაქო განათლების დაბალ დონესთანაა დაკავშირებული.

— შენი აზრით, ნაგვის დაყრაზე ჯარიმის შემოღებამ გაამართლა?

— მე თუ მკითხავ, საქართველოში კანონის არავის ეშინია და არც ეს ჯარიმები ამართლებს — ცვლილებას ვერ ვხედავ. კანონები ალბათ, უფრო უნდა გამოკაცრდეს, კონტროლი ბევრად მაღალი უნდა იყოს, რომ შედეგი გამოიღოს.

— გაქვს იმის იმედი, რომ ერთ დღეადაც, როცა შენ ან რომელიმე შენი თანამშრომელი მუშაობას დაიწყებთ, აღმოაჩინო, რომ დასასუფთავებელი ბევრი არაფერია, რადგან ხალხმა ნაგავი ურნებში ჩაყარა?

— ერთი სული მაქვს, ეგ როდის მოხდება. იმედი მაქვს, ხალხი მივა იმ ეტაპამდე, როცა ქუჩებში ნაგავს არ დაგვიყრის მე ან ჩემს რომელიმე თანამშრომელს.

— რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებიც ზრუნავენ საკუთარი ქალაქის, ქუჩის სისუფთავეზე, მაგრამ სამუხაროდ, უამრავია, ვინც საერთოდ არ ზრუნავს.

— ბევრი ამბობს, საქართველოში ფიზიკურად მომუშავე ადამიანებს ზემოდან უყურებენ და პატივს არ სცემენო. შენ თუ გიგრძნია ოდესმე ამგვარი დამოკიდებულება ხალხისგან, რომელიც თვალს ადევნებს, როგორ ასუფთავებ ქუჩებს დილაობით?

— კი, ჰქონიათ ჩემს მიმართ მსგავსი რეაქციები. მოკლედ რომ ვთქვა, ძალიან ბევრჯერ მიგრძნია მეც და ჩემს თანამშრომლებსაც, რომ ჩვენს შრომას არ აფასებენ. ყოფილა შეძახილები ჩემს მიმართ — ტყუილად გიხდინა ხელფასს; რისთვის



გოგა ჩანადირის ფოტო

დადინარ სამსახურში და ასე შემდეგ. როცა ასეთი ხალხი მხვდება (და ამას წინასწარ ვგრძნობ ხოლმე), ვცდილობ, თავი ავარიდო, რადგან ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება მთელი დღით მიკარგავს ხალხს.

— რამდენ ხანს აპირებ დასუფთავების სამსახურში მუშაობას... რა გეგმები გაქვს?

— დასუფთავების სამსახურში სავარაუდოდ, მანამ ვიმუშავე, სანამ მესამე კურსს არ დავამთავრებ. მესამე კურსის მერე კი ჩემს სფეროზე ვაპირებ კონცენტრირებას და მინდა, წარმატებული ექიმი გამოვიდე.

პერსონალი

დიდი ბრიტანეთი საქართველოში ჩამოსვლის მსურველ ფანებს აფრთხილებს



2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის, ევროპის ზონის ჯგუფურ შეხვედრაში, საქართველო-უელსს უმასპინძლებს. საქართველო-უელსის დაპირისპირება 6 ოქტომბერს გაიმართება. მანამდე კი დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება საქართველოში უელსის ნაკრების საგულშემატკივროდ ჩამოსვლის მსურველ მოქალაქეებს, ჩვენი ქვეყნის შესახებ ინფორმაციას აწვდის.

დიდი ბრიტანეთის მიერ საკუთარი მოქალაქეებისათვის მიცემულ რჩევებში ნათქვამია:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თბილისის ქუჩებში გადაადგილება საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს. არავითარ შემთხვევაში არ გადაიღოთ ფოტოები სამხედრო ბაზებთან. კრიმინალის დონე თბილისში მინიმუმამდეა დაყვანილი. მაგრამ ბნელ ქუჩებში, ბარებისა და კლუბების სიახლოვეს — შეიძლება ყაჩაღობის მსხვერპლი გახდეთ. მოერიდეთ დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის ტარებას და ღამით მარტო სიარულს. განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ გზის გადაკვეთისას. შუქნიშანზე ანთებული ნითელი ფერის სანათი, ან გზაზე არსებული ზებრა — არ გაძლეოთ გზაზე უსაფრთხოდ გადასვლის გარანტიას. ტაქსიში ჩასხდომის წინ დარწმუნდით, რომ მანქანა აღჭურვილია უსაფრთხოების ღვედებით. პატივი ეცით ადგილობრივ ტრადიციებს, კულტურასა და რელიგიას. დარწმუნდით, რომ თქვენი ქმედება არ იქნება შეურაცხყოფელი ადგილობრივი მოსახლეობისათვის. თბილისში საკმაოდ დიდ იმპიათობას წარმოადგენს ქუჩის საპირფარეოები. ბუნებრივი მოთხოვნილება არავითარ შემთხვევაში არ დაიკმაყოფილოთ ქუჩაში.

ყველაზე გემრიელი საზაჩულოს მქონე ქვეყნებს შორის საქართველო მეორეა

რუს ტურისტებს ქართული საზაჩულო უყვართ, თუმცა მას იტალიურის შემდეგ მეორე ადგილზე ასახელებენ. ინფორმაციას Ienta.ru Skyscanner-ის კვლევაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ტურისტული კომპანიის კვლევაში მონაწილეობა 500-მა ადამიანმა მიიღო. რესპონდენტების აზრით, ყველაზე გემრიელი საზაჩულო იტალიელებს (38%) და შემდეგ ქართველებს (16%) აქვთ. რუსი ტურისტების რჩეულ საზაჩულოთა შორის სამეულში ტალიანდურიც (12%) მოხვდა.

ათეულში მოხვდა ბერძნული, ჩინური, იაპონური, ფრანგული, ესპანური, მექსიკური და არაბული საზაჩულოებიც.

აპრილში ცნობილი გახდა, რომ რუს ტურისტებს შორის საქართველო გასტონომიული ტურიზმის მიმართულებით ყველაზე პოპულარული ქვეყანა იყო.



„პია“

თელავის რაიონში ასაკოვანი კასი ჩაუხრით მოკლას



ადგილობრივების ინფორმაციით, 72 წლის გოგია ლალიაშვილს თანასოფელმა სასიკვდილო დაზიანებები ბლაგვი საგნით, ჩაქუჩით მიაცენა. ეჭვმიტანილი პოლიციამ დააკავა. მათივე თქმით, მოკლული კაცი ხშირად ავადმყოფობდა. ის მარტო ცხოვრობდა. შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტიები იყვნენ მობილიზებული. ფაქტზე გამოძიება 108-ე მუხლით დაიწყო. საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლი განზრახ მკვლელობას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

„პია“